სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

18049141365719

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190415159

რეგისტრაციის თარიღი

16.04.2019 წ

ნოტარიუსი: ხათუნა კალანდარიშვილი
მისამართი: ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12
ტელეფონი: 27-73-43

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის თექვსმეტ აპრილს, მე, ნოტარიუს ხათუნა კალანდარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქ.№12-ში, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ხვიჩა პაპუნიძემ (დაბადებული 31.03.1971წ, პირადი #61006011559, მცხოვრები მისამართზე: ბათუმი ვ.გორგასალის ქ. N 149/29 ბ. 1) .** მან განაცხადა, რომ:

ა) არის **შპს "ბი ემ სი გორგია"-ს** (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო #245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ბ) მის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებას ამ რწმუნებულებით სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **ელისო სიგუას (დაბ.**30.03.1990წ. **პ/ნ 60001123495).**

ხვიჩა პაპუნიძემ მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე შევამოწმე **ხვიჩა პაპუნიძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, შევამოწმე ქმედუნარიანობა, რომელიც ჩემში ეჭვს არ იწვევდა; ასევე დავადგინე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს "ბი ემ სი გორგია"-ს შესახებ 2) შპს "GBM" (იგივე „ ბი ემ სი „) –ის წესდება .

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორი ათას ცხრამეტი წლის თექვსმეტ აპრილს, მე, ხვიჩა პაპუნიძე (დაბადებული 31.03.1971წ, პირადი #61006011559, მცხოვრები მისამართზე: ბათუმი ვ.გორგასალის ქ. 149/29 ბ. 1) როგორც შპს "ბი ემ სი გორგია"-ს (რეგისტრირებული 14.07.2008 წ. საიდენტიფიკაციო #245621288, იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. #10) დირექტორი, შემდგომში წოდებული, როგორც „მარწმუნებელი" **ელისო სიგუა (დაბ.**30.03.1990წ. **პ/ნ 60001123495),** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „ რწმუნებული„ ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი:

- **წინამდებარე აქტის მე-2 პუნქტით დადგენილ ფარგლებში,** მარწმუნებლის სახელით დადოს საქონლის (მოძრავი ქონების, სამშენებლო/სარემონტო მასალების და სხვა) როგორც ერთჯერადი, ასევე გენერალური ნასყიდობის, განვადებით ნასყიდობის, ხელშეკრულებები; მარწმუნებლის სასარგებლოდ გააფორმოს ვალდებულების აღიარების (ვალის აღიარების) ხელშეკრულებები. მოახდინოს ამ ხელშეკრულებათა უზრუნველყოფა და ამ მიზნით მარწმუნებლის სასარგებლოდ დადოს იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები და მოაწეროს მათ ხელი. **(მარწმუნებელს ასევე უფლება აქვს მარწმუნებლის სასარგებლოდ დადოს იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ხელშეკრულებები და მოაწეროს მათ ხელი, თუ აღნიშნული ხელშეკრულებებით ხორციელდება მარწმუნებელის, როგორც დამსაქმებლის მიერ დასაქმებულთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასაქმებულის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულების უზრუნველყოფა.)** განსაზღვროს ამ გარიგებათა არსებითი პირობები, ასევე შეიტანოს ცვლილებები უკვე დადებულ ხელშეკრულებებში და დაარეგისტრიროს ეს ხელშეკრულებები საჯარო რეესტრში. გააფორმოს აღნიშნული გარიგებები ნოტარიულად და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოითხოვოს სააღსრულებლო ფურცლის გაცემა „საქართველოს კანონის ნოტარიატის შესახებ" 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად. შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც არ არის მითითებული პირდაპირ, მაგრამ გამომდინარეობს მითითებული უფლებამოსილებებიდან და რაც აუცილებელი გახდება ამ დავალების შესრულებისას;
- **რწმუნებული ვალდებულია, წინამდებარე მინდობილობის საფუძველზე უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ნებისმიერი წერილობითი აქტი (გარიგება, განცხადება, თანხმობა და ა. შ.) შეასრულოს მხოლოდ ნოტარიუსის თამარ ჩაფიძის (პ/ნ 60001052629) მონაწილეობით; შესაბამისად, წინამდებარე აქტი არ არის ძალმოსილი იმ შემთხვევაში, თუ მარწმუნებელთან დაკავშირებულ დოკუმენტს ამოწმებს სხვა ნოტარიუსი, გარდა თამარ ჩაფიძისა.**
- წინამდებარე აქტის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების შედეგად მიღებული ნებისმიერი ქონება (უფლებები, ფულადი თანხები და სხვა) წარმოადგენს მარწმუნებლის საკუთრებას. ეს ნორმა ვრცელდება იმ ვალდებულებებზეც, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე აქტის საფუძველზე.
- წინამდებარე აქტით უფლებამოსილების მინიჭება რწმუნებულისათვის მარწმუნებელს არ ზღუდავს უშუალოდ და პირადად, ან მესამე პირთა მეშვეობით განახორციელოს ყველა უფლებამოსილება, რაც მითითებულია წინამდებარე აქტში.
- რწმუნებული შეზღუდულია წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებით. **ამასთანავე, წინამდებარე აქტით დადგენილი ნორმები ვრცელდება როგორც ამ აქტის ამოქმედებამდე, ისე ამოქმედების შემდეგ წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ.**

მუხლი 2. უფლებამოსილების ფარგლები

1. უფლებამოსილების ფარგლებში იგულისხმება ის უფლებები, რომელიც მარწმუნებელმა მიანიჭა რწმუნებულს და რომლის განხორციელების უფლებაც აქვს რწმუნებულს. შესაბამისად, რწმუნებულს აქვს მხოლოდ ის უფლებები, რომელიც ჩამოთვლილია წინამდებარე აქტში, აგრეთვე ამ უფლებებიდან გამომდინარე სხვა უფლებები, რომელიც უშუალოდ არ არის მითითებული წინამდებარე აქტში, მაგრამ აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 3. უფლებამოსილების გადაცემა მესამე პირისათვის

1. რწმუნებული წინამდებარე აქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად.

2. რწმუნებულს უფლება არ აქვს, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი სრულად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.

მუხლი 4. უფლებამოსილების ვადა

1. წინამდებარე აქტი მოქმედებს **განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.**

2. წინამდებარე აქტის მოქმედება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით.

3. უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება სანოტარო აქტით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებების შესახებ

1. წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

აღნიშნული რწმუნებულება მე, ნოტარიუსმა ხათუნა კალანდარიშვილმა ხმამაღლა წავუკითხე მხარეს, **თავადაც წაიკითხა** იგი და მკაფიოდ და ნათლად დაადასტურა, რომ ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

2) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ბი ემ სი გორგიას" შესახებ
3) შპს "GBM"-ის წესდება (ელექტრონული ასლი ინახება სანოტარო აქტში, დამოწმებული ჩემს მიერ 11.07.2014 წელს, რ# **140728081**)

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება №507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 1. 80 ლარი, ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა.

ხვიჩა ...

ნოტარიუსი: ---------- ხ. კალანდარიშვილი

საქართველოს ნოტარიუსი ხათუნა კალანდარიშვილი
GEORGIA NOTARY KHATUNA KALANDARISHVILI
61001014087